




ავტორები: იაროსლავა ბაბიჩი, არჩილ ჩაფიჩაძე, ნინო სარიშვილი

მაკროეკონომიკური მიმოხილვა – 2022 წელი



შეჯამება

2022 წელს საქართველოში ეკონომიკური აღდგენის ტენდენცია შენარჩუნდა, რამაც ეკონომიკურ ზრდაზე ექსპერტთა მოლოდინებს გადააჭარბა. [საქსტატის წინასწარი შეფასების](#) თანხმად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) განაგრძობს ორნიშნა ნიშნით ზრდას და 2022 წელს ზრდის წლიური მაჩვენებელი 10.1%-ს შეადგენს, რაც თითქმის საქართველოს ეროვნული ბანკის [2022 წლის ოქტომბრის](#) შეფასებაში პროგნოზირებული 10%-ის ტოლია. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის რეალური მშპ-ის ზრდის პროგნოზი ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით (11%) ოდნავ აღემატებოდა საბოლოო წლიურ მაჩვენებელს. 2022 წელს ეკონომიკური ზრდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენით იყო განპირობებული (რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყება, რუსეთისთვის დაწესებული საერთაშორისო სანქციები, რუსეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობის მიგრანტების შემოსვლა და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების შემოდინება). ზედიზედ მეორე წლის განმავლობაში, მშპ-ის მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა გამოწვეული იყო ექსპორტის, პირდაპირი ფულადი ინვესტიციების და კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული საქმიანობის ზრდით.

მშპ-ის ზრდის პროცესს ინფლაციის ზრდაც მოყვა. მართალია, 2022 წლის მე-4 კვარტალში (დეკემბერში) ინფლაციის მაჩვენებელი ზომიერად შემცირდა (წლიური 9.8%), მაგრამ ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 11.9% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული ინფლაცია



შემცირდა, რასაც ვალუტის გამყარებაც მოყვა, მაღალი ადგილობრივი მოთხოვნა კვლავ რჩება ინფლაციის ზრდის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად. ეროვნული ბანკის პროგნოზის მიხედვით ([თებერვალი 2023](#)), 2023 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 5.4%-ს შეადგენს. უფრო მეტიც, მე-3 კვარტლის დასაწყისიდან, მაჩვენებელი სამიზნე 3%-ს მიუახლოვდება.

2021 წელს უმუშევრობის დონის ზრდისგან განსხვავებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 17.3%-მდე შემცირდა, რაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დაფიქსირებული უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონეა ([საქსტატი](#)). სამუშაო ძალის წლიური საშუალო მონაწილეობის დონე 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 51.9% შეადგინა, რაც დაახლოებით იგივეა, რაც 2019 წელს, პანდემიამდე არსებული მაჩვენებელი (50.8%). 2021 წლის კლების შემდეგ, დაქირავებული თანამშრომლების რიცხვი 5%-ით გაიზარდა (მნიშვნელოვანია საბაზისო ეფექტის გათვალისწინება, თუმცა დაქირავებული თანამშრომლების რიცხვი მხოლოდ დაახლოებით 1%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე). იგივე ტენდენცია შეინიშნება თვითდასაქმებულების შემთხვევაშიც, რომელთა რაოდენობაც 6.4%-ით გაიზარდა, რაც 2019 წელთან შედარებით 3.6%-იან ზრდას წარმოადგენს. ამავდროულად, სამუშაო ძალა 2019 წელთან შედარებით შემცირდა, რაც ზოგადად სამუშაო ძალის ასაკის მოსახლეობის (+15 წელს ზემოთ მოსახლეობა) რაოდენობის შემცირებითაა განპირობებული.

[საქსტატის](#) 2022 წლის მე-4 კვარტლის წინასწარი პროგნოზის თანახმად, საშუალო თიური შემოსავალი 2022 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით 11.2%-ით, ხოლო 2021 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით 21.2%-ით გაიზარდა და 1773,7 ლარი შეადგინა. 2021 წელს არსებულ 1304.5 ლართან შედარებით, 2022 წელს საერთო საშუალო შემოსავალი 22%-ით გაიზარდა და 1591.8 ლარი შეადგინა.

რუსეთ-უკრაინის ომმა და ომის შედეგად საქართველოში უცხოეთის მოქალაქეების შემოდინებამ საქონლისა და მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა გამოიწვია (აღნიშნული უმეტესად გამოწვეული იყო დსთ-ის წევრ პარტნიორ ქვეყნებში რეექსპორტის ზრდით). საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა გაიზარდა წლიური 173%-ით ([GNTA, 2022](#)). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ დაბალია 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, იგი 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების 60%-ს შეადგენს (შედარებისთვის, 2021 წელს განხორციელებული ვიზიტების რიცხვი 2019 წლის იმავე მაჩვენებლის მხოლოდ 22%-ს შეადგენდა) ამავდროულად, უცხოეთის მოქალაქეების მიერ გენერირებული შემოსავალი გაიზარდა და 2019 წლის ნიშნულს გასცდა (ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2019 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 8%-ით გაიზარდა).

გაიზარდა როგორც ექსპორტი, ისე იმპორტიც. ნეგატიური სავაჭრო ბალანსი წლიური 37%-ით გაიზარდა და თითქმის 8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა წლიური მშპ-ის 6%-მდე. საერთო ჯამში, 2022 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო საქართველოს ეკონომიკისთვის. ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველო იქცა ხელსაყრელ დანიშნულების პუნქტად რუსი მიგრანტებისთვის, ნაწილობრივ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების შედეგად რემარშრუტირებული საერთაშორისო ვაჭრობის გამო, ხოლო ნაწილობრივ იმიტომ, რომ საქართველო შედარებით მშვიდ ადგილმდებარეობად მოიაზრებოდა ტურბულენტურ რეგიონში, მიუხედავად საშუალოვადიანი გლობალური ეკონომიკური პროგნოზის გაუარესებისა და



ომით გამოწვეული გაზრდილი ეკონომიკური რისკებისა.

საქართველო და საერთაშორისო პარტნიორები: გვერდითი ეკონომიკური ეფექტები

გლობალური ეკონომიკის ჭრილში, 2022 წელი გამოწვევებით იყო სავსე. COVID-19-ის პანდემიის შემდეგ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა კიდევ ერთი დარტყმა იყო მსოფლიო ეკონომიკისთვის. ომმა ხელი შეუშალა ენერჯო და სურსათის ბაზრების ფუნქციონირებას და შეფერხებები გამოიწვია მიწოდების ჯაჭვებში. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი მცირდება (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023). შიდა ტურიზმის ზრდამ, ომის შედეგად გამოწვეულმა მიგრანტების და ფინანსური ნაკადების შემოდინებამ, აგრეთვე საქართველოში ტრანზიტული ვაჭრობის ზრდამ დადებითი გავლენა იქონია ფისკალურ შემოსავალზე ([საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023](#)). 1-ელი გრაფიკი ასახავს კავშირს საქართველოსა და ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებს შორის 2022 წელს არსებული ვაჭრობის, პირდაპირი ფულადი ინვესტიციების, ფულადი გზავნილების და საერთაშორისო ვიზიტების გათვალისწინებით. უფრო მჭიდრო კავშირები და სხვა ქვეყნებიდან მიღებული ძლიერი გვერდითი ეფექტები გამოსახულია მუქი ლურჯი ფერით, ნაკლებად მჭიდრო კავშირები კი – ღია ფერის ლურჯით.

ექსპორტის ყველაზე დიდი წილი კვლავ ჩინეთში განხორციელდა და ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის 13.2% შეადგინა, რუსეთში განხორციელებულმა ექსპორტმა – 11.7%, სომხეთში – 10.5%. დსთ-ის ქვეყნებში განხორციელებულმა ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 48.2% შეადგინა, ევროპის ქვეყნებში განხორციელებულმა ექსპორტმა კი – 15.4%.

რუსეთიდან მიგრანტების გაზრდილი შემოდინების შედეგად, საქართველოში ყველაზე მეტი ფულადი გზავნილი სწორედ რუსეთიდან შემოვიდა და წლიური სწრაფი ფულადი გზავნილების 47.3% შეადგინა. ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტაც რუსეთიდან განხორციელდა და სულ შემოსული ვიზიტების 23.1% შეადგინა, თურქეთიდან განხორციელებულმა საერთაშორისო ვიზიტებმა – 19.7%, ხოლო სომხეთიდან – 15.8%. პირდაპირი ფულადი ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი კვლავ დიდი ბრიტანეთიდან განხორციელდა და ზოგადი მაჩვენებლის 21.4% შეადგინა, ესპანეთიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა კი – 18.3%. რუსეთ-უკრაინის ომმა პარადოქსულად გააძლიერა კავშირი საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკებს შორის – რუსეთს კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოში სწრაფი პირდაპირი ფულადი გზავნილების და შემოსული საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის კუთხით, ხოლო რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტი, 2021 წელს არსებული 10.1%-დან, 2022 წელს 13.5%-მდე გაიზარდა. საქართველომ შეინარჩუნა მჭიდრო ეკონომიკური კავშირი სომხეთსა და აზერბაიჯანთან – ამ ორ ქვეყანაში განხორციელებულმა ექსპორტმა, მთლიანი ექსპორტის 22.5% შეადგინა.



პარტნიორები	კავშირები პარტნიორებთან 2022 წელს, % წილი				საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	რეალური მშპ-ის ზრდა, %		
	ექსპორტი	იმპორტი	პირდაპირი უცხოური ინვესტიცია	ფულადი გზავნილები		2021	2022	2023
დსთ	48.2	27.4	4.4	57.6	52.6			
რუსეთი	11.7	13.5	3.5	47.3	23.1	5.6	-2.1	0.7
უკრაინა	4.1	2.1	0.4	0.3	3.6	3.4	-30.3	-3
სომხეთი	10.5	4.5	0.6	1.2	15.8	5.7	12.6	5.5
აზერბაიჯანი	12	4.7	-0.3	1.3	3.3	5.6	4.6	3
ბელარუსი	1	0.6	0.2	1	2.8	2.3	-4.7	0.7
ყაზახეთი	4.3	0.3	-0.3	3.4	2.6	4.1	3.2	4.3
ევროკავშირი	15.4	22.6	43	24.4	5.8			
იტალია	1.1	2.1	0.1	9.9	0.2	7	3.7	0.7
ესპანეთი	0.9	1.2	18.3	1.3	0.2	5.5	5.5	1.5
გერმანია	1.2	5	1.7	3.8	1	2.6	1.8	-0.1
საფრანგეთი	0.7	1.6	0.2	1	0.4	6.8	2.6	0.7
საბერძნეთი	0.1	0.5	0.1	5.1	0.3	8.4	5.9	2.6
ლიტვა	0.7	0.3	0.1	0.1	0.3	6	1.9	-0.3
ბულგარეთი	7.6	1.5	0.3	0.03	0.2	7.6	3.4	1.4
რუმინეთი	0.4	2.1	0.1	0.01	0.1	5.9	4.8	2.4
სხვა ქვეყნები	36.4	50	52.5	18	41.6			
თურქეთი	7.8	17.5	5.3	2.3	19.7	11.4	5.6	2.7
აშშ	4.7	7.5	8.2	7.5	0.8	5.9	2.1	1.6
ირანი	0.5	1.7	0.2	0	2.2	4.7	2.5	2
ჩინეთი	13.2	8.3	5.4	0.02	0.2	8.4	3	5.2
კორეა	0.2	0.7	0.1	0	0.1	4.1	2.6	1.5
გაერთიანებული სამეფო	0.3	0.8	21.4	0.9	0.5	7.6	4	-0.3
შვეიცარია	1.7	0.9	1.2	0.1	0.1	4.2	2.1	0.8
ისრაელი	0.4	0.1	1.2	4.6	4.5	8.6	6.4	2.9

1-ელი გრაფიკის მარჯვნიდან პირველი სამი სვეტი ასახავს 2021 და 2022 წლების მშპ-ის ზრდის მაჩვენებელსა და 2023 წლის პროგნოზს ([საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023](#)). როგორც გრაფიკიდან ჩანს, რუსეთ-უკრაინის ომმა და შემდგომმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკაზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური პარტნიორების უმეტესობასა და მთავარ ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში 2022 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შემცირდა. უკრაინის მშპ 30.3%-ით შემცირდა, რუსეთის – 2.1%-ით, ხოლო ბელარუსის – 4.7%-ით. 2022 წელს მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი შემცირდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებშიც. 2023 წლის პროგნოზის თანახმად კი, მიმდინარე წელს მოსალოდნელია ზრდის მაჩვენებლების კლების ტენდენციის გაგრძელება ([საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023](#)) მეორე მხრივ, 2022 წელს მშპ-ის მაჩვენებელი გაიზარდა სომხეთში (12.6%), რაც უმეტესწილად ქვეყანაში რუსი მიგრანტების გაზრდილი შედინებითა და ეკონომიკური საქმიანობის ზრდით იყო განპირობებული ([საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2023](#)).



საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის თანახმად, ([World Economic Outlook, 2023](#)) 2023 წელს ზრდის გლობალური მაჩვენებელი 2022 წელს არსებული 3.4%-იდან 2.8%-მდე შემცირდება და 2024 წელს 3.0%-ს მიაღწევს. პროგნოზის თანახმად, წამყვანი ეკონომიკების ზრდის მაჩვენებელი 2023 წელს საგრძნობლად შემცირდება, რაც განვითარებული ქვეყნების მშპ-ის 1.3%-ით შემცირებას გამოიწვევს. ამ პროგნოზის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგება.

საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის თებერვლის ანგარიშის თანახმად ([2023](#)), მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკური ზრდის წლიური მაჩვენებლის 4%-იანი ზრდა. ეს მაჩვენებელი 0.4%-ით ჩამოუვარდება მსოფლიო ბანკის [2023](#) წლის აპრილის პროგნოზს, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის თებერვლის პროგნოზში არსებული მაჩვენებლის ტოლია (წლიური +4%). ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის 2023 წლის მშპ-ის ზრდის პროგნოზის თანახმად, უარესი სცენარის შემთხვევაში, მოსალოდნელია რეალური მშპ-ის 2.2%-ით ზრდა, ხოლო საუკეთესო სცენარის შემთხვევაში – 3.2%-ით. ჩვენი შუალედური პროგნოზის თანახმად, მოსალოდნელია მშპ-ის რეალური ზრდა 2.6%-ით. აღნიშნული ციფრები წარმოადგენს მხოლოდ დაახლოებით მაჩვენებლებს, რამდენადაც ისინი ეყრდნობა მხოლოდ ისტორიულ მონაცემებს და არა მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომს.

ინფლაცია

2022 წლის დეკემბერში [საქსტატის](#) მონაცემების თანახმად, საშუალო წლიურმა ინფლაციამ 9.8% შეადგინა, რაც 6.8 პროცენტული პუნქტით აღემატება მიზნობრივ 3%-ს.

პანდემიასთან დაკავშირებული მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, საქართველოში არსებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, ინფლაციის დონე ეტაპობრივად უნდა შემცირებულიყო. მიუხედავად ამისა, რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაციამ მიწოდების ჯაჭვებში შეფერხება გამოიწვია, რის შედეგადაც ინფლაციაზე ზეწოლა გაიზარდა ([საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022 2022](#)). ამრიგად, 2022 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსის ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი 11,9%-ს გაუტოლდა.

რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო საქონლისა და ნავთობის ფასები. რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო, მოსალოდნელი იყო ნავთობის მიწოდების შემცირება, რამაც 2022 წლის დასაწყისში ნავთობის ფასის ზრდა გამოიწვია. თუმცა Brent-ის ტიპის ნავთობის ფასმა 2022 წლის მაისიდან კლება დაიწყო ([Trading Economics, 2023](#)). ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ტრანსპორტის და ენერჯის ფასების ზრდას. საქართველოში ტრანსპორტის ფასები წლიური 15.8%-ით გაიზარდა და 2022 წელს სამომხმარებლო ფასების ინფლაციის წლიური საშუალო მაჩვენებლის 2.1 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნალური გადასახადების, წყლის, ელექტროენერჯის, გაზისა და სხვა საწვავის ფასების ზრდამ (+18.3%) (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 1.7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს).

რუსეთიდან და ბელარუსიდან გრძელვადიანი ვიზიტორების რიცხვის ზრდამ მნიშვნელოვნად



განაპირობა ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა. საცხოვრებელი ფართების ქირავნობის ფასი დეკემბერში 37.4%-ით გაიზარდა ([საქსტატი, 2022](#)). ტურისტების გაზრდილმა შემოდინებამ გამოიწვია ფასების ზრდა HORECA სექტორში (წლიური +14.4%) და ინფლაციის მაჩვენებლის 0.8% შეადგინა ([საქსტატი, 2022](#)). მიგრაციის შედეგად, გაიზარდა ხარჯვის მაჩვენებელიც, რამაც გამოიწვია სურსათის და სასმელების ფასების ზრდა (წლიური 17,9%-ით) და ინფლაციის მაჩვენებლის 5.8% შეადგინა.

მიგრანტების გაზრდილმა შემოდინებამ დადებითი გავლენა იქონია ლარის გაცვლით კურსზე დაა ნაწილობრივ დააბალანსა არსებული ინფლაციის მაჩვენებელი ([საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023](#)).

საერთო ჯამში, საქართველოს ეროვნული ბანკის უკანასკნელი მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის ([2023](#)) თანახმად, 2023 წელს ინფლაციის მაჩვენებელი თანდათან შემცირდება და 2023 წლის მეორე ნახევრისთვის სამიზნე ნიშნულს მიაღწევს. ეს სავარაუდოდ განპირობებული იქნება მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრითა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკით.

სხვა სექტორები: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო, გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საერთაშორისო ვიზიტორთა საერთო რაოდენობა გაიზარდა წლიური 172%-ით ([GNTA, 2022](#)). ვიზიტორების 50%-ზე მეტი რუსეთიდან (წლიური +50.7%), თურქეთიდან (წლიური +34.8%) და სომხეთიდან (წლიური +33.6%) შემოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი კვლავ 2019 წლის მაჩვენებელზე დაბალია, ის 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების 60%-ის ტოლია (2021 წლის მაჩვენებელი კი 2019 წელს განხორციელებული ვიზიტების მხოლოდ 22%-ის ტოლია). აგრეთვე, 182%-ით გაიზარდა საერთაშორისო მოგზაურების მიერ გენერირებული შემოსავალი და 3.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა ([სეზ](#)). უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პანდემიის შემდეგ პირველად წლევიანდელი შემოსავალი აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. 2022 წელს 30%-ზე მეტით გაიზარდა როგორც ექსპორტი, ისე იმპორტიც ([საქსტატი](#)). წლიური 37%-ით გაიზარდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და 8 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.

2023 წლის მე-4 კვარტალში იმპორტის ზრდაში მთავარი წვლილი სამომხმარებლო საქონლის იმპორტმა (წლიური +32%) შეიტანა (სეზ, [თებერვალი 2023](#)). სამომხმარებლო საქონლის იმპორტი ძირითადად გაიზარდა ავტომობილების (წლიური +130%), ნავთობისა და ნავთობის ზეთების (წლიური +27%) და სატელეფონო აპარატების (წლიური +90%) შესყიდვების გაზრდის გამო. შუალედური საქონლის იმპორტის ზრდა კი ნავთობის აირების (წლიური +1%), ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების (+0.7%) და ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატების (+0.5%) იმპორტის ზრდით იყო განპირობებული. საინვესტიციო საქონლის გაზრდილი იმპორტი უმეტესწილად სხვა საფრენი აპარატების (+0.4%), ელექტრული ტრანსფორმატორების, სტატიკური ელექტრული გარდამქმნელების (+0.4%) იმპორტის ზრდით იყო განპირობებული ([საქსტატი](#)).

მე-4 კვარტალში, პარტნიორ ქვეყნებს შორის, გაზრდილი იმპორტი უმეტესწილად განაპირობა რუსეთიდან (წლიური +95%), აშშ-დან (წლიური +83%), თურქეთიდან (წლიური +19%), სომხეთიდან



(წლიური +98%), გერმანიიდან (წლიური +60%) და იაპონიიდან (წლიური +160%) იმპორტის ზრდამ. 2021 წლის გაუმჯობესების შემდეგ, იმპორტის გეოგრაფიული დივერსიფიკაციის მაჩვენებელი გაუარესდა, რადგან ათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან განხორციელებული იმპორტის წილი 2022 წელს საქართველოში მთლიანი იმპორტის 69.9%-ს შეადგენდა, 2021 წელს არსებულ 67%-თან შედარებით ([საქსტატი](#)).

2022 წლის მე-4 კვარტალში ექსპორტი წლიური 18.6%-ით გაიზარდა. ექსპორტის ამგვარი ზრდა განპირობებული იყო სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე გაზრდილი მოთხოვნით. მეორე მხრივ, შემცირდა შუალედური საქონლის ექსპორტი. სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო ავტომანქანების გაზრდილი რეექსპორტით (წლიური +164%) სომხეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. მეორე მხრივ, რუსეთსა და აშშ-ში ფეროშენადნობების ექსპორტის, ხოლო თურქეთში შავი ნარჩენებისა და ჯართის ექსპორტის შემცირებამ ექსპორტის მაჩვენებლის შემცირება გამოიწვია (სეზ, [თებერვალი 2023](#)). საინვესტიციო საქონლის შემთხვევაში, ექსპორტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ათი ან მეტი ადამიანისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების და საქონლის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომობილების ექსპორტით.

სამიზნე ქვეყნების უმრავლესობაში განხორციელებული ექსპორტის მაჩვენებლები 2022 წლის მე-4 კვარტალში გაიზარდა ([საქსტატი](#)). 72%-ით შემცირდა ექსპორტი აშშ-ში, ექსპორტი ჩინეთში კი 18%-ით გაიზარდა. 3%-ით შემცირდა ექსპორტი რუსეთში, მაგრამ იგი კვლავ დარჩა რიგით მე-3 საექსპორტო ბაზრად საქართველოსთვის. მე-4 კვარტალში საქართველოსთვის მთავარი საექსპორტო ბაზარი სომხეთი იყო. **საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია თითქმის უცვლელი დარჩა.** ძირითადი საექსპორტო დანიშნულების ქვეყნების ათეულის წილი მთლიან ექსპორტში 2022 წელს 77,46%-ს შეადგენს, 2021 წლის 77,56%-თან შედარებით.

რუსეთ-უკრაინის ომის გამო გაიზარდა საქართველოში შემოსული სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობაც. გზავნილების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, 142%-ით გაიზარდა და 1.56 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციიდან (წლიური +745%), ყირგიზეთიდან (წლიური +153%), შეერთებული შტატებიდან (წლიური +25%) და გერმანიიდან (წლიური +43%) ფულის გაზრდილი შემოდინებით ([სეზ](#)).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2022 წელს თითქმის გაორმაგდა და 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა 2022 წლის მე-4 კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 21%-ით შემცირდა ([საქსტატი](#)). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა წლიური მშპ-ის 6%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე მეორე წელია ანგარიშის ბალანსი უმჯობესდება.

საპარო ფინანსები

საერთო ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 19.4 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 28%-ით მეტია ([ფინანსთა სამინისტრო, 2022](#)). ზრდა ძირითადად განპირობებული იყო საშემოსავლო, მოგების და კაპიტალზე (წლიური +45.4%) დაწესებული გადასახადებით მიღებული გაზრდილი შემოსავლებით, საქონელზე და მომსახურებებზე დაწესებული გადასახადებით (წლიური +19.8%) ქონების გადასახადით (წლიური +18.2%), ვაჭრობაზე და ტრანზაქციებზე დაწესებული

(წლიური +46%) და სხვა გადასახადებით (წლიური +144.8%). აღსანიშნავია, რომ 2021 წელთან შედარებით, გრანტები 24.2%-ით შემცირდა. მიმდინარე სამთავრობო ხარჯები 2022 წელს 9.1%-ით გაიზარდა და 16,8 მილიარდი ლარი შეადგინა. ასეთი ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი სუბსიდიებით (წლიური +25%), დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდით (წლიური +11,6%) და საქონლისა და მომსახურებების (წლიური +8%) გაზრდილი მოხმარებით.

2022 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა 1,76 მილიარდი ლარი შეადგინა, (მშპ-ის 2.5%), რაც 53,2%-ით აღემატება 2021 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს. 2022 წლის მე-4 კვარტალში მთავრობის სავალ ვალდებულებები (რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 4.2%-ით შემცირდა და 28,9 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც, თავის მხრივ, მშპ-ს 39.7%-ს შეადგენს ([საქსტატი, 2022](#)). გარდა ამისა, 2021 წლის მე-4 კვარტალთან შედარებით, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 5,4%-ით შემცირდა და 75.1% შეადგინა, რამაც მცირედით შეამცირა ქვეყანაში ვალუტის კურსის ცვლილების რისკი.